



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზარეცკი იური ალექსანდრეს ძე



ზარეცკი იური ალექსანდრეს ძე (22. XII. 1928, ზაპოროჟიე, – 8. V. 1985, თბილისი), მოცეკვავე და ბალეტმამისტი, საქართველო. სახ. არტისტი (1964). 1951 დაამთავრა თბილ. ქორეოგრაფიის სასწავლებელი. 1948–55 ამიერკავკასიის სამხ. ოლქის ანსამბლის ბალეტმამისტი იყო, 1955–67 – თბილ. ზ. ფალიაშვილის სახ. სახელმწ. ოპერისა და ბალეტის თეატრისა და ბაქოს მ. ფ. ახუნდოვის სახ. ოპერისა და

ბალეტის თეატრის სოლისტი. ცეკვებს დგამდა თბილ. ოპერისა და ბალეტის, ვ. აბაშიძის სახ. სახელმწ. მუს. კომედიისა და დრამის, აგრეთვე საქართველო. სხვადასხვა დრამ. თეატრში, ასევე ლენინგრადის, კიევის, კიშინიოვის, ეკატერინბურგის, ოდესის, ბაქოს თეატრებში. რუსთაველის თეატრში ქორეოგრაფიულად გააფორმა მრავალი სპექტაკლი, რ-თაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია უ. შექსპირის „მაფხულის ღამის სიზმარი“ (1964), „მეფე ლირი“ (1966) და „იულიუს კეისარი“ (1973, სამივეს რეჟისორი მ. თუმანიშვილი); ა. ცაგარლის „ხანუმა“ (1968), ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე“ (1977, ორივეს დამდგმელი რეჟისორი რ. სტურუა) და სხვ. 1972-იდან თბილ. რუსთაველის სახ. სახელმწ. აკად. თეატრის მთ. ბალეტმამისტი იყო. ზ. მოღვაწეობდა კინოშიც. დადგა ცეკვები კინოფილმებში – „ვერისუბნის მელოდიები“ (1973, რეჟ. გ. შენგელაია) და „აურზაური სალხინეთში“ (1975, რეჟ. ლ. ლოღობერიძე). ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. ქორეოგრაფიის სასწავლებელსა და საქართველო. თეატრისა და კინოს ინ-ტში (სცენური მოძრაობის კათედრის გამგე 1964–73). ზ. კოლექციონერი იყო. მისი მდიდარი კოლექცია (ვერცხლისა და თითბრის ანტიკვარული ნივთები, უნიკალური საოჯახო ავეჯი და სხვ.) მისივე ანდერძით გადაეცა თბილ. ი. გრიშაშვილის სახ. ეთნოგრაფ. მუზეუმ „ქარვასლას“.

ე. გუგუშვილი

ა. ჩხეიძე
